

განვითარების რეგულაცია და შეხედულებები წარმატების მიღწევის კონტროლზე

ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ადრეული ზრდასრულობა განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ინდივიდი განვითარების პროცესში იყენებს რეგულაციის სტრატეგიებს, კერძოდ მიმართავს დასახულ მიზნებში ჩართულობასა და მიზნებზე უარის თქმას. ამასთან, ახალგაზრდებს აქვთ შეხედულებები სხვადასხვა ასპარეზზე წარმატების მიღწევის გზებსა და შესაძლებლობებზე. მოცემულ კვლევას ჰქონდა რამდენიმე მიზანი. პირველ მიზანს წარმოადგენდა განვითარების რეგულაციისა და წარმატების მიღწევის კონტროლის შესახებ შეხედულებების კითხვარების ქართულენოვანი ვერსიების ფაქტორული ვალიდაცია. მეორე მიზანს წარმოადგენდა განვითარების რეგულაციის პროცესებსა და წარმატების მიღწევის შესახებ შეხედულებებს შორის კავშირის დადგენა ქართველ ახალგაზრდებში. დამადასტურებელ ფაქტორული ანალიზით დადგინდა განვითარების რეგულაციის და კონტროლის შესახებ არსებული შეხედულებების კითხვარების ქართულენოვანი ვერსიების ფაქტორული ვალიდობა. სტრუქტურული ტოლების გამოყენებით გამოვლინდა, თუ როგორ უკავშირდება შეხედულებები წარმატების მიღწევის შესახებ განვითარების რეგულაციის პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: განვითარების რეგულაცია, შეხედულებები წარმატების მიღწევის კონტროლზე, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი

შესავალი

ადრეული ზრდასრულობა განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. განვითარების ცენტრალურ ამოცანას ამ ეტაპზე იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამ ამოცანის დაძლევის ერთ-ერთი ასპექტი, ერკსონის თანახმად, ზრდასრულთა სოციუმში საკუთარი ადგილის მიგნებაა (Erikson, 1968, Cote, 2016). საკუთარი ადგილის მიგნების მნიშვნელოვან სივრცეს პროფესიული საქმიანობა ქმნის. პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით განვითარება პირველ ეტაპზე შესაბამისი განათლების მიღებას გულისხმობს და შემდეგ მიღებული ცოდნისა და უნარების რეალიზაციას კონკრეტული დასაქმების სივრცეში. რამდენად წარმატებული იქნება გადასვლა განათლების ეტაპიდან დასაქმების ეტაპზე, დიდწილად დამოკიდებულია სტრატეგიებზე, რომელსაც ახალგაზრდები განვითარების პროცესში მიმართავენ (Heckhausen, Wrosch, & Schulz, 2010) და იმ შეხედულებებზე, რომელიც მათ აქვთ წარმატების მიღწევის გზებსა და შესაძლებლობებზე (Heckhausen & Shane, 2015). მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს კავშირი განვითარების რეგულაციის პროცესებსა და წარმატების მიღწევის შესახებ შეხედულებებს შორის ქართველ ახალგაზრდებში.

განვითარების რეგულაციის პროცესები

განვითარების მოტივაციის თეორიის თანახმად, ადამიანები საკუთარი განვითარებას არეგულირებენ ორი სხვადასხვა პროცესის გამოყენებით. ეს პროცესებია მიზნებში ჩართულობა და მათზე უარის თქმა.

მიზანში ჩართულობა სამ სხვადასხვა სტრატეგიას მოიცავს: *პირველადი კონტროლი*, გულისხმობს დროის, ძალისხმევისა და უნარების ინვესტირებას მიზნის მიღწევის პროცესში (მაგალითად, ყოველდღიური მუშაობა უცხო ენის შესასწავლად); *მეორადი კონტროლი* გულისხმობს ნებელობით თვით-რეგულაციას, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდის მოტივაციის გამყარებას მიზნის მიღწევის პროცესში (მაგალითად, იმ კმაყოფილების წარმოდგენა, რომელიც მიზნის მიღწევას შეიძლება მოჰყვეს); *კომპენსატორული პირველადი კონტროლი* გულისხმობს მიზნის მისაღწევად არაპირდაპირი გზების გამოყენებას (მაგალითად, გარე დახმარების ძიება, მიზნის მისაღწევად უჩვეულო, შემოვლითი ხერხების აღმოჩენა).

მიზანზე უარის თქმის პროცესს სხვაგვარად *კომპენსატორულ მეორად სტრატეგიას* უწოდებენ და ის გულისხმობს რთული მიზნის მიღწევაზე უარის თქმას და ასევე თავდაცვითი სტრატეგიების გამოყენებას (მაგალითად, მიზნის სუბიექტური გაუფასურება, ცხოვრების წარსული წარმატებების გახსენება).

პირველადი კონტროლის სტრატეგიები მიმართულია გარემოს შეცვლაზე ინდივიდის სურვილების შესაბამისად (ასიმილაციური სტრატეგია), ხოლო მეორადი კონტროლის სტრატეგიები გულისხმობს ინდივიდის ცვლილებას გარემოს შესაბამისად (აკომოდაციური სტრატეგია). ცხოვრების მანძილზე არსებული მოტივაციის თეორიის მიხედვით, პირველადი კონტროლი მუდმივი და უნივერსალური მოტივაციური დრაივია მთელი ცხოვრების მანძილზე. თუმცა, როდესაც ასაკის მატებასთან ერთად პირველადი კონტროლის შესაძლებლობა იკლებს, მნიშვნელოვანი ხდება კონტროლის მეორადი სტრატეგიების გააქტიურება (Heckhausen, Wrosch, & Schulz, 2010).

თეორიის თანახმად, მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმა ადაპტური ან არაადაპტურია რეალობაში არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ დროისა და ძალისხმევის მიმართვა ხდება მიზნისაკენ, რომელიც ობიექტურად თითქმის მიუღწეველია, მიზანში ჩართულობის სტრატეგია ფსიქოლოგიური სირთულეების, კონკრეტულად კი დეპრესიული სიმპტომების რისკს ზრდის (Heckhausen, Wrosch, & Fleeson, 2001). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ემპირიული კვლევების მიხედვით, მიზანში ჩართულობის სტრატეგია ზრდასრულობაში გადასვლის საფეხურზე უკავშირდება როგორც ობიექტურ (დასაქმება), ისე სუბიექტურ (პოზიტიური ემოციები) ადაპტური შედეგებს (Heckhausen, Wrosch, & Schulz, 2010). ლონგიტუდური კვლევებით ცნობილია, რომ საქმიანობასთან დაკავშირებულ მიზნებში ჩართულობა ახალგაზრდების სუბიექტური კეთილდღეობის განცდის ზრდას, ხოლო მიზნებზე უარის თქმა მის შემცირებას უკავშირდება (Haase, Silbereisen, & Heckhausen, 2011).

საინტერესოა, რომელი ინდივიდუალური მახასიათებლები წინასწარმატყველებს მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი ამ თვალსაზრისით წარმატების კონტროლთან დაკავშირებული შეხედულებებია.

შეხედულებები წარმატების კონტროლის შესახებ

ბანდურას კლასიკური თვით-ეფექტურობის კონცეფციის თანახმად, როდესაც ინდივიდს დადებითი მოლოდინი აქვს საკუთარ წარმატებასთან დაკავშირებით, ის მეტ ძალისხმევას მიმართავს მიზნის მიღწევად.

შედარებით გვიანდელი კონცეფცია კონტროლთან დაკავშირებული შეხედულებების შესახებ აღწერს ინდივიდის წარმოდგენას წარმატების მიღწევის საშუალებებზე/გზებზე (შეხედულებები საშუალებასა და შედეგზე) და პიროვნების შეფასებას ამ საშუალებების/გზების მისაწვდომობაზე (აგენტობასთან დაკავშირებული შეხედულებები).

შეხედულებები წარმატების კონტროლის შესახებ აღწერს რამდენად შესაძლებლად მიიჩნევა პიროვნება გარკვეული მოვლენების კონტროლს (მაგალითად სამსახურის დაწყება) და მის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა გზებით შეიძლება ამის მიღწევა (მაგალითად, ძალისხმევით, უნარებით, საჭირო ნაცნობებით). აგენტობასთან დაკავშირებული შეხედულებები აღწერს თუ რამდენად მისაწვდომად თვლის ინდივიდი ამ გზებს (მაგალითად, აქვს თუ არა მას საჭირო კავშირები). მრავალი კვლევით დადგენილია, რომ კონტროლის შესაძლებლობების ოპტიმისტური შეფასება დადებით ზეგავლენას ახდენს განწყობილებაზე, მიზნის მიღწევისას შეუპოვარ დამოკიდებულებაზე და აკადემიურ შედეგებზე (Heckhausen & Heckhausen, 2018).

კონტროლის შესახებ შეხედულებებში გამოყოფენ შეხედულებების ორ ჯგუფს: 1) ინდივიდის შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ აღწევს კონკრეტულ საზოგადოებაში ადამიანების უმრავლესობა წარმატებას და 2) შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა საშუალებებით/გზებით შეუძლია პირადად მას წარმატების მიღწევა. შეხედულებების ორივე ჯგუფთან მიმართებაში გამოყოფენ საშუალებების ორ - შინაგან (უნარები, ნიჭი სიბეჯითე, შრომა) და გარეგან (კავშირები, იღბალი) კატეგორიას.

ინდივიდის წარმოდგენები წარმატების მიღწევის საშუალებებზე/გზებზე ყალიბდება საზოგადოების „დომინანტური იდეოლოგიისა“ და ინდივიდის ავტობიოგრაფიული ისტორიის საფუძველზე. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დომინანტური სოციალური იდეოლოგია ე.წ. „ამერიკული ოცნების“ შესაბამის მოლოდინს აყალიბებს, რომლის თანახმად, ნებიერიერს აქვს კარიერული წარმატების მაქსიმალური დონის მიღწევის შესაძლებლობა და შედეგი ინდივიდუალურ ძალისხმევაზეა დამოკიდებული (Heckhausen & Shane, 2015). ამ თვალსაზრისით საინტერესოა შედეგები, რომელიც ქართველი ახალგაზრდების შეხედულებებს ასახავს სამსახურის დაწყებისათვის აუცილებელ მიზეზებზე. 18 - დან 29 წლამდე ასაკის რეპრეზენტატული შერჩევის შედეგების თანახმად, სამსახურის დაწყებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად 43% ნაცნობებს, მეგობრებსა და კავშირებს მიიჩნევს, 30% გამოცდილებასა და ცოდნას, 19% განათლებას, და 8 % იღბალს (Georgian Youth Survey, 2016).

ემპირიული კვლევით დადგენილია, რომ შეხედულებები კონტროლის შესახებ კავშირშია მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიების გამოყენებასთან. კერძოდ, ახალგაზრდები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კარიერული წარმატება დამოკიდებულია შინაგან ფაქტორებზე (უნარებსა და ძალისხმევაზე) უფრო მეტად მიმართავენ მიზანში ჩართულობის სტრატეგიას, და უფრო სწრაფად აღწევენ

რეალურ წარმატებას. ისინი ვინც წამატების მიზეზად გარეგან ფაქტორებს მიიჩნევენ, უფრო მიზანზე უარის თქმის სტრატეგიისაკენ არიან მიდრეკილი (Shane & Heckhausen, 2016). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეხედულებები წარმატების შესახებ მნიშვნელოვნად განპირობებულია კონტექსტით და ინდივიდის ისტორიით. ქართველი ახალგაზრდების ნახევრი სამსახურის დაწყებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად გარეგან ფაქტორებს მიიჩნევენ (Georgian Youth Survey, 2016). საინტერესოა ვიკვლიოთ, თუ როგორ არის დაკავშირებული კონკრეტულად ქართულ კონტექსტში ეს შეხედულებები მიზნის რეგულაციის პროცესებთან, რომლებიც თავის მხრივ, ადაპტაციის სხვადასხვა მაჩვენებელს უკავშირდებიან.

წინამდებარე კვლევა

წინამდებარე კვლევას აქვს რამდენიმე მიზანი:

1. ქართველი ახალგაზრდების შერჩევაზე განვითარების რეგულაციისა და კონტროლის შესახებ შეხედულებების კითხვარების ქართულენოვანი ვერსიების ვალიდაცია.
2. განვითარების რეგულაციის პროცესების (მიზანში ჩართულობა და მიზანზე უარის თქმა) საშუალო მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება.
3. გარეგანი და შინაგანი კონტროლის შესახებ შეხედულებების საშუალო მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება
4. კონტროლის შეხედულებების კავშირის შესწავლა განვითარების რეგულაციის პროცესებთან სტრუქტურული ტოლობის გამოყენებით.

მეთოდი

მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 318 ქართველმა ახალგაზრდამ 17-დან 29 წლამდე ($M = 23.41$, $SD = 3.12$). მონაწილეთა განაწილება სქესის მიხედვით იყო 58% ქალი და 42% მამაკაცი. შერჩევის 57% იყო სტუდენტი და 67% იყო დასაქმებული.

მონაცემების შეგროვდა ელექტრონული კითხვარის საშუალებით. მონაწილეების შერჩევა მოხდა ხელმისაწვდომობის პრინციპით.

ინსტრუმენტები

განვითარების რეგულაცია. განვითარების რეგულაციის, კონკრეტულად მიზანში ჩართულობის და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიების შესაფასებლად გამოყენებული იყო პირველადი და მეორადი კონტროლის ოპტიმიზაციის კითხვარი (Optimization in Primary and Secondary Control – A Multiscale questionnaire (OPS-Scales) (Heckhausen, Schulz, & Wrosch, 1998). კითხვარი მოიცავს მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის ქვე-სკალებს. მიზანში ჩართულობის სტრატეგიის სკალა მოიცავს 14 დებულებას (მაგ. „ როდესაც ჩემთვის რაღაც მართლაც მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება დიდ დროს ვუთმობ მას“). მიზანზე უარის თქმის სტრატეგიის სკალა მოიცავს 6 დებულებას (მაგ. „როდესაც რაღაც ძალიან რთულდება, შემძლია მასზე ფიქრს თავი დავანებო“).

კითხვარის ქართულენოვანი ვერსიის ვალიდაცია მოხდა მოცემული კვლევის ნაწილში, რაც დეტალურად აღწერილია შედეგების ნაწილში.

შეხედულებები კონტროლის შესახებ. შეხედულებები კონტროლის შესახებ შესწავლილი იყო კითხვარით რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი ეხება წარმოდგენებს იმ საშუალებებზე, რომლითაც ქართულ საზოგადოებაში სოციალური სტატუსის მიღწევა შესაძლებელი (Shane & Heckhausen, 2013). როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზების სკალა მოიცავს სამ დებულებას (მაგ. „საქართველოში ადამიანები სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურს აღწევენ იმიტომ, რომ ‘...აქვთ წარმატებისათვის საჭირო ნიჭი და უნარი’ ან ‘უმართლებთ’“). მეორე ნაწილი ეხება ინდივიდის შეხედულებას, იმის შესახებ თუ რა საშუალებებით არის პირადად მისთვის შესაძლებელი სამსახურის მიღება და მოიცავს შინაგანი და გარეგანი მიზეზების ნაწილს. ორივე ქვე-სკალა სკალა მოიცავს ოთხ დებულებას (მაგ. „კარგი სამუშაოს მოსაძებნად იმდენ ვაკანსიაზე შევიტან განაცხადს, რამდენიც საჭიროა“ (შინაგანი) და „ჩემი კონტაქტების მეშვეობით შემიძლია კარგი სამუშაო მივიღო(გარეგანი). კითხვარის ქართულენოვანი ვერსიის ვალიდაცია მოხდა მოცემული კვლევის ფარგლებში და აღწერილია შედეგების ნაწილში.

შედეგები

დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი

განვითარების რეგულაციის კითხვარის ქართულენოვანი ვერსიით მიღებულ მონაცემებზე ჩატარდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი. კითხვარის ვერსია, რომელიც კვლევაში იყო გამოყენებული მოიცავდა მიზანში ჩართულობის 24 და მიზანზე უარის თქმის შესაბამის 8 დებულებას. დაბალი დატვირთვებისა და დებულებებს შორის ჯვარედინი დატვირთვების გათვალისწინებით, მოხდა დებულებების გაცხრილვა. საბოლოო ვერსია მოიცავს მიზანში ჩართულობის სკალის 14 დებულებას და მიზანზე უარის სკალის 6 დებულებას. მოდელის საბოლოო ვერსიის მაჩვენებლები შემდეგია: $\chi^2(163) = 308.37, p < .001, CFI = .94, RMSEA = .05$, რაც აკმაყოფილებს მიღებულ სტანდარტებს (Kline, 2010).

კონტროლის შესახებ შეხედულებების ქართულენოვანი ვერსიით მიღებულ მონაცემებზე ჩატარდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი. კითხვარის ინგლისურენოვანი ორიგინალი ვერსია მოიცავს ორ ქვე-კითხვარს: შეხედულებები საზოგადოებაში წარმატების მიღწევის გზებზე და შეხედულებები უშუალოდ ინდივიდისათვის შესაძლო და მისაღებ გზებზე სამსახურის მისაღებად. პირველი კითხვარის მოდელის მონაცემები შემდეგია: $\chi^2(8) = 7.88, p > .05, CFI = .1, RMSEA = .00$, რაც ნიშნავს მონაცემების სრულ შესაბამისობას მოდელთან. მეორე კითხვარის მოდელი მონაცემები ასევე შესაბამისობაში აღმოჩნდა მოდელთან: $\chi^2(16) = 16.99, p > .05, CFI = .99, RMSEA = .01$, რაც აკმაყოფილებს მიღებულ სტანდარტებს (Kline, 2010).

მიზანში ჩართულობის საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატება მიზანზე უარის თქმის სტრატეგიას. საზოგადოებაში წარმატების მიღწევის შინაგანი გზების შესახებ შეხედულებები მნიშვნელოვნად დაბალია გარეგანი გზების შესახებ რწმენებზე. ინდივიდისათვის სასურველი სამსახურის მიღების შინაგანი გზების შესახებ რწმენები მნიშვნელოვნად აღემატება გარეგანი გზების შესახებ რწმენებს. შედეგები აღწერილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

კვლევის ცვლადების საშუალო მაჩვენებლები და განსხვავებები

	საშუალო (სტანდარტული გადახრა)	t-კრიტერიუმის მნიშვნელობა
მიზანში ჩართულობის სტრატეგია	4.20 (.62)	23.64, $p < .001$
მიზანზე უარის თქმის სტრატეგია	2.70 (.92)	
საზოგადოებაში წარმატების მიღწევის შინაგანი გზები	3.51 (1.06)	
საზოგადოებაში წარმატების მიღწევის გარეგანი გზები	3.69 (.77)	-2.46, $p < .01$
სასურველი სამსახურის მიღების შინაგანი გზები	3.94 (.76)	16.3, $p < .001$
სასურველი სამსახურის მიღების გარეგანი გზები	2.85 (1.01)	

მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიებს შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია. შეხედულებებში საზოგადოებაში წარმატების მიღწევის კონტროლის გარეგან და შინაგან გზებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი. ინდივიდის შეხედულებები მისთვის სასურველი სამსახურის მიღების გარეგანი და შინაგანი გზების შესახებ სუსტ დადებით კორელაციაშია. საზოგადოებაში წარმატების მიღწევის გარეგანი გზების შესახებ შეხედულებები დადებით კორელაციაშია ინდივიდისათვის სასურველი სამსახურის მიღების შინაგანი გზების შესახებ შეხედულებებთან, ხოლო საზოგადოებაში წარმატების მიღწევის შინაგანი გზების შესახებ შეხედულებები დადებით კორელაციასი აღმოჩნდა ინდივიდისათვის სასურველი სამსახურის მიღების გარეგანი გზების შესახებ შეხედულებებთან. შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2

კორელაციები კვლევის ცვლადებს შორის

	2	3	4	5	6
1. მიზანში ჩართულობის სტრატეგია	.03	.16**	.02	.50***	.13*
2. მიზანზე უარის თქმის სტრატეგია		.11*	.02	.03	.13*

3. საზოგადოებაში წარმატების მიღწევის კონტროლის გარეგანი გზები	.02	.12*	.01
4. საზოგადოებაში წარმატების მიღწევის კონტროლის შინაგანი გზები		.09	.19**
5. სასურველი სამსახურის მიღების კონტროლის შინაგანი გზები			.12*
6. სასურველი სამსახურის მიღების კონტროლის გარეგანი გზები			

* $p < .05$, ** $p < .01$; *** $p < .001$.

სტრუქტურული ტოლობის მოდელირება

სტრუქტურული ტოლობის მეთოდით შემოწმდა მოდელი, სადაც შეხედულებები საზოგადოებაში გავრცელებულ წარმატების შესაძლებლობებზე და სასურველი სამსახურის მიღების გზებზე განსაზღვრული იყო როგორც დამოუკიდებელი ცვლადები, ხოლო მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიები, როგორც შედეგის ცვლადები. შემოწმდა ორი სხვადასხვა მოდელი მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიებისათვის.

აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში წარმატების მიღწევის გარეგან შესაძლებლობებზე შეხედულებები და სასურველი სამსახურის მიღების შინაგან გზებზე შეხედულებები დადებითად წინასწარმეტყველებს მიზანში ჩართულობის სტრატეგიებს. მიზანზე უარის თქმის სტრატეგიას დადებითად წინასწარმეტყველებს შეხედულებები საზოგადოებაში წარმატების მიღწევის გარეგან გზებზე და სასურველი სამსახურის მიღების გარეგან გზებზე. შეხედულებები საზოგადოებაში წარმატების მიღწევის შინაგან გზებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირში არ აღმოჩნდა არცერთ სტრატეგიასთან. ანალიზის დეტალური შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 3

სტრუქტურული ტოლობის მოდელის შედეგები

	მიზანში ჩართულობის სტრატეგია	მიზანზე უარის თქმის სტრატეგია
საზოგადოებაში წარმატების მიღწევის კონტროლის შინაგანი გზები	.03	-.004
საზოგადოებაში წარმატების მიღწევის კონტროლის გარეგანი გზები	.10*	.11*
სასურველი სამსახურის მიღების კონტროლის შინაგანი გზები	.48***	-.002
სასურველი სამსახურის მიღების კონტროლის გარეგანი გზები	.06	.13*

* $p < .05$, ** $p < .01$; *** $p < .001$.

შედეგების განხილვა

განვითარების სტრატეგიები (მიზანში ჩართულობა და მიზანზე უარის თქმა) გულისხმობს ინდივიდის მნიშვნელოვან აგენტობას, რომელიც გავლენას ახდენს მისი ცხოვრების ტრაექტორიაზე. ადამიანები ირჩევენ საკუთარ მიზნებს და მიმართავენ სხვადასხვა გზებს ამ მიზნების განსახორციელებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიზანში ჩართულობის აქტიურ პროცესს აქვს. ის წარმოადგენს ასიმილაციურ გზას, რომლითაც მიიღწევა ცვლილება საკუთარი მიზნების შესაბამისად. მიზანზე უარის თქმის სტრატეგია უფრო აკომოდაციურია, რადგან ის გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი მიზნების ცვლილებას მოცემული შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით (Heckhausen, 2018). თეორიის თანახმად, მიზანში ჩართულობა და მიზანზე უარის თქმა ადაპტურია მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა 50/50-ზეა მიზანში ჩართულობა გამართლებულია, ხოლო თუ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა ძალიან დაბალია, მაშინ მიზანზე უარის თქმის სტრატეგიაა მართებული. მიუხედავად ამისა, არსებობს მტკიცებულება, რომლის თანახმად, ახალგაზრდა ასაკში მიზანში ჩართულობის ზოგადი სტრატეგია მიზანზე უარის თქმის სტრატეგიასთან შედარებით მეტად უკავშირდება ადაპტურ შედეგებს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ინდივიდის თავისებურებები, რომელიც კავშირშია მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიებთან. მოცემულ კვლევაში განვიხილეთ შეხედულებები წარმატების მიღწევის შესახებ ორი სხვადასხვა პერსპექტივიდან: 1) შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ქართულ საზოგადოებაში წარმატების მიღწევა; 2) შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ არის კონკრეტული ინდივიდისათვის სასურველი სამსახურის მიღება შესაძლებელი. თითოეული პერსპექტივა განიხილავს წარმატების მიღწევის გზების ორ ჯგუფს: შინაგანს (უნარები, ძალისხმევა) და გარეგანს (კავშირები, იღბალი).

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიების საშუალო მაჩვენებლების შედარება. შედეგების მიხედვით, მონაწილეები უფრო მეტად მიმართავენ მიზანში ჩართულობის სტრატეგიას ვიდრე მიზანზე უარის თქმის სტრატეგიას. სავარაუდოა, რომ კვლევის მონაწილეთა ახალგაზრდა ასაკი არის ამ განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი. თეორიისა და ემპირიული კვლევის შედეგების თანახმად, მიზანში ჩართულობის სტრატეგია მთავარ სტრატეგიად რჩება ცხოვრების მანძილზე და მიზანზე უარის თქმის სტრატეგია მას არ ანაცვლებს. ემპირიული კვლევების თანახმად, სამსახურის ძიების პროცესში მიზანში ჩართულობის სტრატეგია უკავშირდება მეტად ადაპტურ, ხოლო მიზანზე უარის თქმის სტრატეგია ნაკლებად ადაპტურ შედეგებს (Körner, Reitzle, Silbereisen, 2012).

კვლევის შემდეგი ამოცანა წარმატების მიღწევის შესაძლებლობებთან დაკავშირებული შეხედულებების შესწავლა იყო. ცვლადების საშუალოთა შედარების გათვალისწინებით, მონაწილეთა აზრით, საქართველოში წარმატების მიღწევა უფრო კავშირებისა და გამართლების გზით ხდება, ვიდრე უნარებისა და ძალისხმევის გამოყენებით. რაც შეეხება შეხედულებებს მათთვის სასურველი სამსახურის მოპოვების გზების შესახებ, მონაწილეები თვლიან რომ მათ უფრო მეტად საკუთარი უნარები და ძალისხმევა დაეხმარებათ, ვიდრე კავშირები და გამართლება.

კვლევის ცენტრალური კითხვა იყო როგორ უკავშირდება შეხედულებები წარმატების მიღწევის გზებზე მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიებს. შედეგებზე დაყრდნობით, შეხედულება იმის შესახებ რომ ქართულ საზოგადოებაში წარმატება უნარებისა და ძალისხმევის საფუძველზე მიიღწევა, არ წინასწარმატყველებს არც მიზანში ჩართულობის, არც მიზანზე უარის თქმის სტრატეგიას. ეს შედეგი ეხმიანება კვლევას, რომლის თანახმად, ამერიკელი ახალგაზრდების შეხედულებები ამერიკულ საზოგადოებაში წარმატების მიღწევასთან არ აღმოჩნდა კავშირში მათ დასაქმების გამოცდილებასა და მიღწევის მოტივაციასთან (Shane & Heckhausen, 2017).

შეხედულებები იმის შესახებ, რომ საქართველოში წარმატების მიღწევა კავშირებსა და იღბალს უკავშირდება, წინასწარმეტყველებს როგორც მიზანში ჩართულობის, ისე მიზანზე უარის თქმის სტრატეგიას. როგორც საშუალო მაჩვენებლების შედარებამ გამოავლინა, შეხედულებებს კავშირებისა და იღბლის მნიშვნელობაზე წარმატების მიღწევის პროცესში უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ვიდრე უნარებისა და ძალისხმევის მნიშვნელობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმატების მიღწევის გარეგანი გზების შესახებ შეხედულება ქართული კონტექსტის ზოგად მახასიათებელს ასახავს. ამ მოსაზრებას ამყარებს, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ახალგაზრდების კვლევა, სადაც მონაწილეთა ნახევარი სამსახურის მიღების განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორებად კავშირებსა და იღბალს მიიჩნევს.

მეორე მხრივ, საინტერესოა რომ შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა გზებით მიიღებენ მონაწილეები მათთვის სასურველ სამსახურს, მიზანში ჩართულობისა და მიზანზე უარის თქმის სტრატეგიებთან განსხვავებულ მიმართებას აჩვენებს. შეხედულებები, რომ სასურველი სამსახურის მიღება საკუთარ უნარებსა და ძალისხმევას უკავშირდება, წინასწარმეტყველებს მიზანში ჩართულობის სტრატეგიას, ხოლო შეხედულებები, რომ სასურველი სამსახურის მისაღებად კავშირები და იღბალი იქნება საჭირო, წინასწარმეტყველებს მიზანზე უარის თქმის სტრატეგიას. საკუთარი უნარებისა და ძალისხმევის რწმენის მაღალი ხარისხი პრო-აქტიურ, და ავტონომიურ დამოკიდებულებას გამოხატავს და ლოგიკურად წინასწარმეტყველებს მიზანებისაკენ სწრაფვის ასიმილაციურ სტრატეგიას. როგორც სამსახურის მიღების სტრატეგიად კავშირებისა და იღბლის განხილვა მიუთითებს პასიურ და ნაკლებად ავტონომიურ დამოკიდებულებაზე (Ryan & Deci, 2017). ნაკლები ავტონომიისა და კონტროლის განცდა სავარაუდოდ ინდივიდს უზიბდებს ადვილად თქვას უარი მიზანზე, მაშინაც კი როდესაც მცირე დაბრკოლებას შეხვდება.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ კვლევამ გამოავლინა საინტერესო მახასიათებლები, როგორც განვითარების რეგულაციის პროცესების, ისე წარმატების მიღწევასთან დაკავშირებული შეხედულებების კუთხით ქართველი ახალგაზრდების შერჩევაზე. ალბათ განსაკუთრებით საყურადღებოა გავრცელებული შეხედულება, რომელიც გულისხმობს, რომ ქართულ კონტექსტში წარმატების მიღწევა უფრო ინდივიდის სოციალურ გარემოსა და იღბალზეა დამოკიდებული, ვიდრე მის ძალისხმევასა და უნარებზე. მიუხედავად იმისა, რომ პირად მიზნებთან მიმართებაში (სასურველი სამსახურის მიღება) უფრო მაღალი მაჩვენებელი უნარებისა და ძალისხმევის ფაქტორებს აქვს, სავარაუდოა, რომ შეხედულებები ზოგადი კონტექსტის შესახებ მაინც მნიშვნელოვან ფონს ქმნის განვითარების პროცესში. მათი მნიშვნელობა

კიდევ უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეხედულებები კავშირშია განვითარების რეგულაციის მეტად და ნაკლებად ადაპტურ სტრატეგიებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

- Côté, J. E. (2016). *The identity capital model: A handbook of theory, methods, and findings*. Unpublished manuscript, Department of Sociology, The University of Western Ontario, London, Ontario, Canada.
- Erikson, E. H. (1968). *Identity: Youth and Crises*. New York: Norton.
- Haase, C., Silbereisen, R. K., Heckhausen, J. (2012). The interplay of occupational motivation and well-being during the transition from university to work. *Developmental Psychology*, *49*, 1739–751.
- Heckhausen J. 2018. The motivation of developmental regulation. In Heckhausen & Heckhausen (eds) 2018, *Motivation and Action*. pp. 741–78
- Heckhausen, J., Schulz, R., & Wrosch, C. (1998). Developmental Regulation in Adulthood: Optimization in Primary and Secondary Control – A Multiscale questionnaire (OPS-Scales) Technical Report, Max Planck Institute for Human Development, Berlin, Germany
- Heckhausen, J., Wrosch, C., & Fleeson, W. W. (2001). Developmental regulation before and after a developmental deadline: The sample case of “biological clock” for child-bearing. *Psychology and Aging*, *16*, 400–413.
- Heckhausen, J., Wrosch, C., & Schulz, R. (2010). A motivational theory of life-span development. *Psychological Review*, *117*, 32–60.
- Kline, R. B. (2010). *Principles and practice of structural equation modeling* (3rd ed.). New York: Guilford Press.
- Körner, A., Reitzle, M., & Silbereisen, R. K. (2012). Work-related demands and life satisfaction: The effects of engagement and disengagement among employed and long-term unemployed people. *Journal of Vocational Behavior*, *80*, 187 – 196.
- Shane, J., & Heckhausen, J. (2016). For better or worse: Young adults' opportunity beliefs and motivational self-regulation during career entry. *International Journal of Behavioral Development*, *40*, 107-116. <http://dx.doi.org/10.1177/0165025415589389>
- Shane, J., & Heckhausen, J. (2017). It's only a dream if you wake up: Young adults' achievement expectations, opportunities, and meritocratic beliefs. *International Journal of Psychology*, *52*, 40-48, doi: 10.1002/ijop.12408
- თაობა გარდამავალ პერიოდში. (2016). ახალგაზრდების კვლევა

Article received 2019-09-05